# ხაშურის მოამბე

№18 (300) 21 ივნისი, ორშაბათი, 2021 წელი


## დაათვალიერეს კულტურის ობიექტები და ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები

შიდა ქართლის რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებისა და გორის სოფლების მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ

დუგლაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ჩვენი ქალაქის კულტურული ობიექტები და მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს. თავდაპირველად, აღნიშნული პირები კულტურის სასახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბი) რაბილიტაციის პროცესს გაეცნენ, რომელიც მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და 900 ათას ლარზე მეტი ჯდება. დღეისათვის აქ თითქმის დასრულებულია სცენის, საოპერატოროს და ჭერის შესაკეთებელი სამუშაოები. ამჟამად იატაკი იგება. უახლოეს მომავალში დასრულდება განათებისა და გახმოვანების სისტემების მონტაჟის სამუშაოები და აგვისტოს ბოლოსათვის სრულად რეაბილიტირებული ეს უნიკალური ნაგებობა პირველ მაყურებელსაც მიიღებს.

ამის შემდეგ,გუბერანტორი და მაჟორიტარი დეპუტატი, თანმხლებ პირებთან ერთად, ხაშურის თოჯინების თეატრს ეწვივნენ. თეატრის დასთან და მის ხელმძღვანელთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ თეატრი წარმატებით უმკლავდება პანდემიასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მიმდინარე სეზონში ახალ პრემიერებსაც შესთავაზებს თავის პატარა მაყურებელს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სტუმრობისას, გუბერნატორმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა, მისმინეს ინფორმაციები მუზეუმის ირგვლივ არსებულ პრობლემებზე და გაიზიარეს მუზეუმის ხელმძღვანელების წუხილი, რომ მუზეუმის შენობა ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და უკვე სასწრაფო აუცილებლობას წარმოადგენს მისი გაფართოება. განსაკუთრებით ეს ეხება საგამოფენო სივრცეს, რომლის სიმცირის გამო, ასეულობით უნიკალური ექსპონატის გამოფენა ვერ ხერხდება. შეხვედრისას მათ პირობაც დადეს, რომ ეს პრობლემა უახლოეს წლებში მოგვარდება.

იმავე დღეს,ისინი გაეცნენ ქემფრის საჯარო სკოლისა და სავანისუბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს. ქემფრის სკოლის რეაბილიტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერაა დაფინანსებული. სამუშაოები სრული ტემპით მიმდინარეობს და სექტემბრისათვის ახლადრეაბილიტირებული სკოლა მოსწავლეებსაც მიიღებს. რაც შეეხება სავანისუბნის გზას, მისი რეაბილიტაციისათვის 800 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი და პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

## მთავრობამ ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ მიიღო

მთავრობის სხდომაზე ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ მიიღეს. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი სრულ შესაბამისობაშია 2020 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ახალი „ტყის კოდექსით“ დადგენილ ტყის მდგრადი მართვის პრინციპებთან. ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ ადგენს ტყით მდგრადი მართვისა და სარგებლობის სამართლებრივ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ტყეების რესურსებით მდგრად სარგებლობას ტყის ეკოლოგიური ღირებულებებისა და მახასიათებლების გაუმჯობესების, დაცვისა და შენარჩუნების პირობებში. მოსახლეობისთვის, საჯარო და ბიზნეს სექტორისათვის გაუმჯობესდება ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობა - როგორც მერქნული (სამასალე, შეშა), ისე არამერქნული და, ასევე, ხეტყის ნარჩენის სახით, რომელიც აქტიურად გამოიყენება ალტერნატიული და ეკოლოგიური ენერგიის წყაროების საწარმოებლად (ბრიკეტები,პელეტები) და მნიშვნელოვანი რგოლია ტყეზე ზეწოლის შემცირებისთვის. გარდა ამისა, ტყის რესურსებზე წვდომა დაეფუძნება სრულიად ღია და სამასალე მერქანის დამზადებას მხოლოდ ტყის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ, შესაბამისი წესით დაახარისხებენ და განათავსებენ დასაწყობების ადგილებზე, ე.წ. „საქმიან ეზოებში, რომლებიც

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს. ტყის რესურსების რეალიზაცია მოხდება როგორც აუქციონის წესით (ძირითადად, მაღალი ხარისხის, ე.წ. სამასალე მერქანი), ისე პირდაპირი მიყიდვის გზით (შეშა და ხეტყის ნარჩენი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტყითსარგებლობის წესით“ დადგენილი სპეციალური ტყითსარგებლობის სახეები - ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება. ახალი „ტყითსარგებლობის წესის“ მიღებამდე, ასეთი რესურსებით სარგებლობა კომერციული მიზნებისთვის აკრძალული იყო. ახალმა კანონმა და წესმა, ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახადა ასეთი რესურსის კომერციალიზაცია; ასევე, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყითსარგებლობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ქვეყნის და მისი უნიკალური ველური ბუნების ეკოტურისტულ პოტენციალს და შესაძლებელს გახდის, რომ სარეკრეაციო-ტურისტული საქმიანობები განხორციელდეს არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების ფარგლებში, არამედ საქართველოს ტყის ყველა ნაწილში. მთავრობის მიერ მიღებული ახალი „ტყითსარგებლობის წესი“ პრაქტიკაში ამკვიდრებს ტყის კოდექსით დადგენილ პრინციპებს და ჩვენ მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, ტყის რესურსებით მდგრადად ისარგებლონ მრავალფუნქციური მიმართულებით.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2021 წლის 5 თვის ანგარიში

**ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება,** მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას. განყოფილებაში დასაქმებულია 10 მოსამსახურე, მათ შორის 2 შტატგარეშე მოსამსახურე.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს - 6 პროექტის განხორციელება, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4 587 026 ლარს.

1. სოფელ დუმაცხოვში - მისასვლელი გზის მოასფალტება - 535 138 (დასრულებული);
2. სოფელ ქინძათში - გზის მოასფალტება - 815 000 (90% შესრულება);
3. სოფელ სავანისუბნამდე - მისასვლელი გზის მოასფალტება - 674 230 (60% შესრულება);
4. სოფელ ნაბახტევში - გზის მოასფალტება - 1 184 739 (15% შესრულება);
5. სოფელ რუსაანთუბნამდე - ბეტონის გზის დაგება - 818 384 (30% შესრულება);
6. სოფელ მონასტერში - ბეტონის გზის დაგება - 559 535 (20% შესრულება).

ადგილობრივი ბიუჯეტით მიმდინარეობს - 17 პროექტის დაფინანსება, რომელთა ღირებულება, ამ ეტაპზე, შეადგენს 4 044 480 ლარს (თანხა დაზუსტდება სატენდერო პროცედურების დასრულების შემდგომ).

1. დაბა სურამში - მათიაშვილის ქუჩის მოასფალტება - 234 900 ლ. (დასრულდა);
2. დაბა სურამში - თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტება - 187 650 ლ. (დასრულდა);
3. დაბა სურამში - ამაღლების ქუჩის მოასფალტება - 155 377ლ. (დასრულდა);
4. დაბა სურამში სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტება - 187 563 ლ. (დასრულდა);
5. სოფელ ტაშისკრიდან სოფელ ქვიშხეთამდე გზის მოასფალტება - 1 099 695 (დასრულდა);
6. ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე, მინი სტადიონის მშენებლობა - 99 940 (დასრულდა);
7. სოფელ წრომში - მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება - 55 122 ლ. (დასრულდა);
8. სოფელ დიდ ბეკამში - მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება - 55 122 ლ. (დასრულდა);
9. სოფელ დიდ ფლევში - წყლის ჭაბურღილის მოწყობა - 526 000 ლ. (მიმდინარე, შესრულება 40%);
10. ქ. ხაშურში კულტურის სახლის სცენისა და დარბაზის რეაბილიტაცია - 904 289 ლ. (მიმდინარე, შესრულება 35%);
11. ქ. ხაშურში რუსთაველის ქუჩა 16-ში და ბორჯომის ქუჩა 58-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების რეაბილიტაცია - 143 000 ლ. (გამოცხადებულია ტენდერი), ხოლო ცხვირაშვილის ქ. 11-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელი კორპუსის ლიფტების რეაბილიტაციისთვის მზადდება სატენდერო დოკუმენტაცია;
12. დაბა სურამში, მდინარე სურამულაზე, ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობა რეაბილიტაცია - 235 000 ლ. (გამოცხადებულია ტენდერი);
13. სოფელ ბრილში დაზიანებული ხიდ-ბოგირის (ოთხკუთხა მილის მშენებლობის) სამუშაოების შესყიდვა - 25 822 ლ. (ტენდერი არ შედგა, მიმდინარეობს დოკუმენტაციის მომზადება ხელახალი ტენდერის გამოსაცხადებლად);
14. სოფელ ალში - სანიაღვრე არხის მოწყობა - 40 000 ლ. (უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი);
15. ქ. ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე სკვერის და გარე ტრენაჟორების მოწყობა - 40 000 ლ. (მიმდინარეობს პროექტირება);
16. ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე, კულტურის სახლის მიმდებარედ გარე ტრენაჟორების მოწყობა - 25 000 ლ. (მიმდინარეობს პროექტირება);
17. სოფელ ბეკამში სანიაღვრე არხის მოწყობა - 30 000 ლ. (მიმდინარეობს პროექტირება).

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში დაფინანსდება - 79 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენს 904 000 ლარს. (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 განკარგულება).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს 1 პროექტი - ქ. ხაშურში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5 980 862 ლარს, თანადაფინანსება 1 196 172 ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2021 წელს.

ასევე მიმდინარეობს :

1. ქ. ხაშურში, პროფსასწავლებლის მშენებლობა - 9 835 935 ლარი.
2. ქ. ხაშურში, იუსტიციის სახლის მშენებლობა 4 300 000 ლარი.
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქემფერის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 1 792 000 ლ.
4. სოფელ ქინძათის 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა - 2 411 228 ლ.

## მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2021 წლის 5 თვეში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული მომართვებიდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე დაკმაყოფილებულია 4 მოთხოვნა.

გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, 50%-ით შემცირებული ფასით, „შუშის ქარხნის დასახლებაში (ს/კ 69.08.51.315) მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შესახებ“.

მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია -7 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, მომზადდა უარის ბრძანების 2 პროექტი, 1 განცხადება დაკმაყოფილდა 1 განცხადება განხილვის პროცესშია.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით და მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი და ძირითადი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავ-მოძრავი ქონება:

1. სტადიონი, (ს.კ 69.08.67.985) ხაშური, თავდადებულის ქუჩა;
2. ამბულატორია, (69.12.55.421) ხაშური, სოფელი ბროლოსანი;
3. სკვერი, (69.08.58.446) ხაშური, რუსთაველის ქუჩა (მთავრობის განკარგულება №250);
4. საბავშვო ბაღების ინვენტარი - (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 29.01.2021 წლის ბრძანება 1/1-173);
5. ხაშური, სოფ. სატივე, (ყოფილი კლუბი) (ს.კ.69.02.02.015);
6. ხაშური, სოფ. ბომი 111კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ. 69.02.65.343);
7. ხაშური, ც. ბურნაძის ქუჩა, 202 კვ.მ. (ს.კ. 69.03.60.251);
8. ხაშური, 9 აპრილის ქუჩა, მიწის ნაკვეთი, (ს.კ.69.08.58.316);
9. ხაშური, ქვიშხეთი, მიწის ნაკვეთი( ს.კ. 69.06.63.566);
10. ხაშური, ლომოურის ქ. (ს.კ. 69.08.62.304);
11. ხაშური, სოფ. ფლევი, სოფ. ნაცარგორა (ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობა), (ს.კ. 69.05.57.266).

ა(ა)იპ „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“-ს (ს.ნ 243918070), მათი გამართული ფუნქციონირებისათვის, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადაეცა ხმის აკუსტიკური-გამაძლიერებელი სისტემის კომპლექტი: 1. 24 არხიანი უნივერსალური პულტი „შ 400 “, 2. სამპლერი დიგიტალური „KORG DSST“, 3. სინთეზატორი „ROLAND DSST“, საერთო ღირებულებით 2670,00 ლარი.

მზადების პროცესშია განკარგულების პროექტები: 1. „ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანებისათვის“ (ს.კ243918089) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შენობის (ს/კ 69.08.66.332) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და 2. „შპს „მაგთიკომი„–სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში 2021 წლის 5 თვეში მერის მოვალეობის შემსრულებლის რეზოლუციით შემოსულია 550-მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

## სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 41 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 82 პროექტი: აქედან 56 ხაზობრივი ნაგებობა და 26 სხვადასხვა სახის -საცხოვრებელი, დამხმარე და კომერციული დანიშნულების ობიექტები. შეთანხმებულია დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ - 12, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები - 9, შესრულდა მიწის გაყოფისა და გაერთიანების - 135 განცხადება, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ განცხადებას.

გაიცა მშენებლობის - 31 ნებართვა, მათ შორის: საცხოვრებელ სახლებზე - 11, კომერციულ ობიექტებზე - 3, დემონტაჟი - 5, რეკონსტრუქცია - 4, დამხმარე სათავსო - 1, ღობე-1, სასტუმრო (კოტეჯების კომპლექსი) – 2, ავტოფარეხი - 1, ავტოსერვისი (სამრეცხაო) - 2, რკინის კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმო - 1 .

მოცულობით დიდი ობიექტები:

1. სასტუმრო (კოტეჯების კომპლექსი);
2. კომერციული (სავაჭრო) ობიექტი;
3. რკინის კონსტრუქციების საწარმო;

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა -22 992.00 ლარი.

დამტკიცდა, განაშენიანების დეტალური გეგმები: რკინის კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოს მშენებლობისათვის და მრავალფუნქციური დასასვენებლი სასტუმროების კომპლექსისათვის. დაწყებულია პირველი სტადიით განხილვა შპს „ოუკლენდი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დეტალური გეგმის კონცეფციის, რომელიც უკვე განიხილა ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დეპარტამენტის სპეციალურმა საბჭომ და დაიდო დადებითი დასკვნა.

და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარი და ღირებულია: მიმდინარე წლის 6 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად წარვუდგინეთ დაბა სურამის გენერალური გეგმის და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტები, რაც ერთხმად მიღებული და მოწონებული იქნა, რაზედაც გამოიცა საკრებულოს დადგენილება №7.

**სერგო ლალიაშვილი,**
**მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი**

- სკოლა -

# ახალი პროექტი - `რა ვიცით პარლამენტის შესახებ?..”

საქართველოს 50 სკოლაში, მათ შორის ხაშურის 1-ელ, სურამის მე-2, ქინძათისა და ფლევის საჯარო სკოლებში, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ხელშეწყობით, პარლამენტარიზმის შესახებ, ახალი პროექტის პილოტირება დაიწყო. 50 სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა წარმატებით გაიარეს ტრენინგი, რომელიც ახალ სასკოლო სახელმძღვანელოს „რა ვიცით პარლამენტის შესახებ?”, დამხმარე მასალისა და მათი სწავლების მეთოდებს ეხებოდა. პროექტის იდეა საქართველოს პარლამენტს ეკუთვნის, რომელიც ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით ხორციელდება. პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მეტად მიეცეთ პრაქტიკული საშუალება მოსწავლეებს, რომ დაუახლოვდნენ და გაიმდიდრონ ცოდნა საქართველოს პარლამენტის შესახებ, ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: როგორ იქმნება კანონები, როგორ მიმდინარეობს ზედამხედველობა კანონების აღსრულებაზე, ეა ვიცით დემოკრატიის და მოქალაქეთა უფლებების შესახებ.

**ხაშურის 1-ლი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი:**

-- ქვეყნის 50 სკოლაში მომავალი წლიდან მე-5, მე-6, მე-7 კლასელებისთვის „რა ვიცით საქართველოს პარლამენტის შესახებ“ პროექტის პილოტირებას დავიწყებთ, რომელიც, სამომავლოდ, მოიცავს მთელ საქარელოს და მოიაზრება, რომ მომავალში ეს საკითხი გახდეს საგაკვეთილო პროცესის ნაწილი. ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული ეს საკითხი, დაიგეგმა, რომ საკითხის ადვოკატირება განხორციელდეს განათლების სამინისტროსთან - სკოლებში მოსწავლეებისათვის დაბალი კლასებიდანვე, საქართველოს პარლამენტარიზმის შესახებ ინფორმირებულობის მნიშვნელოვნების გამოკვეთის კუთხით: როგორ განვითარდა პარლამენტარიზმი საქართველოში, როგორი იყო პირველი პარლამენტი, როდის ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები და ა. შ. გაკვეთილები იქნება მთლიანად იმიტირებული. საოცარი გაკვეთილებია დაგეგმილი. ეს ყველაფერი არის

გაწერილი. პედაგოგებს და მოსწავეელეებს გადაეცემათ სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები და პროექტის პილოტირებაც დაიწყება 2021- 2022 სასწავლო წლისათვის...

**--- რა აქტივობებს ითვალისწინებს პროექტი სწავლებისას?**

-- პროექტი არ ითვალისწინებს მხოლოდ საგაკვეთილო პროცესს. პირველ გაკვეთილებს ჩაატარებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, შესაძლოა ეს იყვნენ მაჟორიტარი დეპუტატები, შესაძლოა იყვნენ პარლამენტის სხვა წევრებიც. მოიაზრება, რომ რაც შეიძლება მეტი პარლამენტარი ჩაერთოს პროექტის პილოტირებაში. პროექტის შემდგომ ეტაპზე კი, საგაკვეთილო პროცესში ჩაერთვებიან შერჩეული სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებიც...

ერთ-ერთი აქტივობაა, მოსწავლეების ვიზიტი საქართველოს პარლამენტში, ისინი დაესწრებიან და თვალს მიადევნებენ კომიტეტების, ბიუროების, პარლამენტის სხდომებს. საქართველოს პარლამენტი იღებს პასუხისმგებლობას, რომ შემუშავდება მოსწავლეებზე და ქვეყანაში არსებულ პანდემიის პირობებზე მორგებული განრიგი, რათა ყველა მათგანს უმასპინძლონ. რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, რეალურად ნახონ პარლამენტის მუშა, ფუნქციონალური პროცესი.

**--- როგორც ვიცით, პროექტის მთავრი იდეა, პილოტირების პროცესის იმიტირებულობაში მდგომარეობს...**

-- დიახ, პროექტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ორიენტირებულია იმიტირებულ პროცესებზე, რეალურად შეეხონ მოსწავლეები საპარლამენტო ცხოვრებას. არის საგაკვეთილო აქტივობები, რა დროსაც მოსწავლეები თავად შეიმუშავებენ კანონპროექტებს, ისინი რეალურად იცხოვრებენ საკლასო ოთახში მათ მიერ შემუშავებულ კანონთან ერთად, დააკვირდებიან, შესაძლებელია თუ არა რეალურად განხორციელდეს კანონპროექტი, რა ხარვეზი შეიძლება ჰქონდეს კანონს, რა შეიძლება შეიცვალოს მასში, რომ უფრო ქმედითი და მოქნილი გახდეს, როგორ შეიძლება დამუშავდეს სრულყოფილებამდე და ა. შ. სკოლებში მოსწავლეები „მოქალაქეობის“ შესწავლას იწყებენ მე-7 კლასიდან და ძალიან ეფექტური იქნება ამ ნაწილის შეტანაც, რადგან თეორიულ ცოდნას პრაქტიკული უნარ-ჩვევები მეტად ამდიდრებს... სასწავლო წლის დასასრულს, მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის გათვალისწინებულია კონკურსი სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოების გამოსავლენად, რომლებიც დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული აქტივობით დასრულდება პროექტის ერთწლიანი პილოტირების ეტაპი.

**--- პროექტის მოსალოდნელ შედეგებზეც, ბუნებრივია, უნდა ვისაუბროთ...**

--- რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ მოსწავლეების ცნობიერება ამაღლდება არაფორმალური განათლების მხრივ, ყველაზე კარგი ის არის ამ პროცესში, რომ, ჩვენ, როგორც პილოტირების მონაწილე სკოლებს, გვექნება ფუნქია მივიღოთ მონაწილეობა პროექტის სრულყოფაში. ჩვენ გვეკისრება ვალდებულება, გამოვცადოთ და შევაფასოთ, რამდენად მუშაობს დაგეგმილი აქტივობები პროექტის ფარგლებში, ხომ არ იქნება საჭირო რაიმე ტიპის მოდიფიცირება... ასე, რომ ეს ძალიან საპასუხისმგებლო პროცესია. ჩვენ სკოლას წარსულშიც აქვს მსგავსი ტიპის გამოცდილება.. ვართ „ახალი სკოლის მოდელის“ მონაწილე სკოლა და 2019 წლიდან, ჩვენი პედაგოგების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით, იხვეწებოდა და სხვა სკოლებში ვცრცელდებოდა საკითხები, რაც, პირველ ეტაპზე, ჩვენს სკოლაში გადიოდა პილოტირებას.

ასე, რომ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: ეს ძალიან საპასუხისმგებლო და საინტერესო პროცესია, რადგან, პროექტის პილოტირებისას, ჩვენს მიერ განხორციელებული უკუკავშირი აისახება მთელი საქართველოს მასშტაბით.

**--- რა პრინციპით შეირჩა ხაშურის მუნიციპალიტეტის ოთხი საჯარო სკოლა, მათ შორის საუკუნოვანი ისტორიის მქონე 1-ლი საჯარო სკოლა?**

--- მინდა, გითხრათ, რომ როდესაც ჩვენ დავინტერესდით რატომ იყო პროექტის მონაწილე ჩვენი სკოლა, პასუხი იყო ძალიან სასიამოვნო და სასიხარულო. საინტერესოა, რომ პროექტის პილოტირების მონაწილე სკოლების ნუსხა განათლების სამინისტრომ გადასცა პროექტის ორგანიზატორებს. ასე, რომ ძალიან გაგვეხარდა, როდესაც განათლების სამინისტრომ აქცენტი გააკეთა იმედის მომცემ სკოლებზე, სადაც მოსწავლეებს შეასწავლიან „სამოქალაქო განათლებას“ წამყვანი და მენტორი მასწავლებლები. ეს ფაქტი მამოტივირებელია ჩვენი სკოლისათვის, რომ გამოცხადებული ნდობა გავამართლოთ კიდეც...

**--- თავად მოსწავლეები თუ არიან დაინტერესებული „სამოქალაქო განათლებით“ და მსგავსი პროექტებით?**

-- მინდა, გითხრათ, რომ ძველი სახელმძღვანელოებით თეორიული სწავლება მოსწავლეს არ აძლევდა პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას სათანადოდ, ამიტომ სკოლა ცდილობდა მათთვის საგნის სწავლება სხვადასხვა პროექტებში ჩართვით გაემრავალფეროვნებინა და პრაქტიკულად, მეტად საინტერესოდ წარემართა. არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანა სწავლებაში ეფექტურია. სამოქალაქო განათლება უნდა ასაწავლო იმისათვის, რომ მოსწავლემ დაინახოს რა პრაქტიკული სიკეთის მოტანა შეუძლია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, რომელიც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენცია თანამედროვე საზოგადოებაში. სკოლის ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არა აღზარდოს მოქალაქე, რისი ვალდებულებაც

განსაზღვრულია ეროვნულ სასწავლო გეგმითაც.

**--- დასასრულ, როგორ დამთავრდა სკოლისათვის მიმდინარე სასწავლო წელი?**

--- ძალიან მნიშვნელოვანი სასწავლო წელი დავასრულეთ. გეგმიური ტესტირების 9 ეტაპი გაიარა სკოლამ და არცერთ ეტაპზე არ აღმოჩნდა სკოლაში ინფიცირებული პედაგოგი. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს, რომ მაქსიმალურად იცავდნენ თავს იმისათვის, რომ საგაკვეთილო პროცესი საკლასო ოთახებში დასრულებულიყო. მინდა, ვისურვო ისეთი მომავალი სასწავლო წელი, რა დროსაც არ იქნება დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროება. არ შეიძლება არ აღვნიშნო მშობელთა ჩართულობის შედეგად განხორციელბული სკოლის გარე სივრცის მოწყობის შესახებ, რა დროსაც დაიწყო სკოლის გარე შემოსასვლელი სივრცის რეაბილიტაცია და ახალი სასწავლო წლიდან გვექნება რეაბილიტირებული სკოლის გარე სივრცე...

2021 წელი საქართველოს კონსტიტუციის საიუბილეო წელია და ძალიან სიმბოლურია, რომ საქართველოს პარლამენტი სწორედ წელს იწყებს საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის სკოლებში დანერგვას, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას საქართველოს პარლამენტის, მისი როლისა და ფუნქციის, პარლამენტარიზმის ისტორიის შესახებ. პროექტი, რომელიც V-VI და VII კლასების სასწავლო გეგმაში, ახალი სახელმძღვანელოს - „რა ვიცით პარლამენტის შესახებ?” დანერგვას ეხება, თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის.

თეა ახალკაცი

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17)

გათავდა წარმოდგენა და წამოვედი შინ, გზაში მომაგონდა, რომ სახლიდან გამოპარული ვიყავი წარმოდგენის საყურებლად. მხოლოდ ახლა წარმოვიდგინე, რა მელოდა სახლში და შიშმა ამიტანა: ვიცოდი, რომ დედაჩემი (მამა აღარ მყავდა) ჩვენი მეზობლის – სიმონა ფილიას ნერგის წკეპლით კანჭებს ამიჭრელებდა. ჩავვარდი საგონებელში. ჯერ კიდევ არაფერი მქონდა თავის გასამართლებლად მოფიქრებული, რომ ჩვენი სახლის კარს მივდექი... ერთ წამს შევდექი და... უეცრივ ერთმა აზრმა გამიელვა თავში... კარი ღია დამხვდა... ახლა ამან გამახარა, ვიფიქრე შევიპარები და შეუმჩნევლად შევწვები ლოგინში-მეთქი. მაგრამ აი უბედურება! – დედა ფეხზე დამხვდა. მას გვერდით უჯდა ჩვენი მდგმური, მეგრელი ქალი სახელად პატკუ (დუნია). დედაჩემმა მრისხანედ გადმომხედა და გაექანა იმ კუთხისაკენ, სადაც წკეპლას ინახავდა. ამ დროს მე აღარ დავაყოვნე და ხმის კანკალით წამოვიყვირე: „დეიდა პატკუ! ახლა ბაღში... კურკას მამა მოკლეს!...” აქ დედა-ჩემი შეჩერდა. „რაო, რა სთქვი?” – შემეკითხა. პატკუმ იკივლა – „ვუი – ნანა!...” – ჰო და ღაწვები ჩამოიკაწრა... მივხვდი, რომ ცუდად გამომივიდა... მოვინდომე გამოსწორება, მაგრამ უფრო მეტად შევტოპე: „ტელიაფუსის ბაღში... თეატრში... მერე კურკამ”... განვაგრძე ვითომ როგორც სასაცილი ამბავი; მინდოდა, გამეცინებინა, ვიფიქრე გაწკეპვლას გადავრჩები მეთქი... მაგრამ ვიღამ დამაცალა: პატკუ წივილ-კივილით გავარდა კარში და მორთო მეგრული „ზარი”. დედაჩემი მას გაყვა და შეუდგა მის დამშვიდებას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ,– არ იქნა მისი გაჩუმება. პატკუს „ზარზე” ატყდა ხმაური, ძაღლების ყეფა, გაიღვიძეს მეზობლებმა, გამოცვივდნენ ქუჩაში; პატკუმ მათ აცნობა კურკას მამის მოკვლა, შეიქმნა აურ-ზაური, აწრიალდა მთელი ჩვენი უბანი და სწორედ ამ ჟრიამულში და ალიაქოთში გამოჩნდა კურკა თავის დედ-მამით, რომელნიც დიდად კმაყოფილნი და არხეინი წარმოდგენის შემდეგ ბრუნდებოდნენ შინ. ამათ დანახვაზე პატკუმ ერთხელ კიდევ შეიკივლა და იქვე – ადგილზე გაშეშდა. აბა, ახლა შეიქმნა ახალი ამბავი: დაიწყო გამოძიება, გამოკითხვა იმისა თუ ვინ მოჭორა ეს ამბავი... აქ თავი გამოიდო კურკას მამამ: „გამაგებინეთ, ვინ გამომიგონა ეს ამბავი? ვის რაში სჭირდებოდა ჩემი მოკვლაო?” აქ უკვე ვიფიქრე, ეს თუ გაიგეს, ყველაზე მეტი მე მომხვდებაო და გავქანდი ბინისკენ, საჩქაროდ შევიპარე შინ, თვალის დახამხამებაზე გავიხადე ტანსაცმელი, უკვე მომზადებულ ლოგინში შევძვერი და გავნაბე სული, ვიცოდი, რომ დედა ლოგინში დაწოლილს ხელს არ მახლებდა. ასეთ მდგომარეობაში კარგა ხანს მესმოდა ქუჩიდან ხმაური, შემდეგ იგი შეწყდა და ახლა ვიფიქრე: „ახლა დგება ჩემი განკითხვის დღე მეთქი!” დავხუჭე თვალები, თავი მოვიმძინარე, გავისუსე. გავიგონე გაიღო კარი, ვიგრძენი, წავიდა წკეპლისაკენ, ამასთან ვიღაც საჩქაროდ მომიახლოვდა; მე თავზე საბანწაფარებულმა ჩუმად გამოვიხედე და დავინახე ჩემს ლოგინთან, ჩემს მცველად აღმართული პატკუ: „შენ არ მომიკვდე, ფეფუცი, ბავშვს არ გაგალახვინებ!” – „როგორ?... უკვე დაწოლილა?!,– იკითხა დედაჩემმა – მაგის იღბალი, თორემ მე მაგას ვაჩვენებდი სეირს”...

ჩემი მშვიდობით გადარჩენის შემდეგ, მეორე დღეს, მე, კურკამ და ერთმა მეზობლის გოგონამ გავმართეთ წარმოდგენა. სცენარად გამოვიყენე წინა საღამოს მომხდარი ამბავი. მე ყავრისაგან გაკეთებული ხანჯალით მოვკალი კურკა. პატარა გოგონამ ეს ამბავი შეიცხადა, გადმოყარა თმები, ჩამოიკაწრა ღაწვები, მეგრულად ენა მოუქცია და მორთო „ზარი”... ამის დანახვაზე პატკუმ ხელახალი კივილი მორთო, მაგრამ ეს იყო სიხარულის კივილი და სიცილი. „სქანი ჭირიმა”, სქანი გოლუაფირო”-ო იძახდა და გვეხვეოდა და გვკოცნიდა ბავშვებს. ვინაიდან სხვა ქალებსაც მოეწონათ, ხშირად ვუმართავდი ხოლმე მათ ასეთ წარმოდგენებს.

ამ პიესას „დიდი წარმატება” ქონდა, გადავწყვიტე რეპერტუარის შევსება: ავიღე და რეპეტიციებისათვის ჩვენი სარაია გამოვიყენე, ვინაიდან იქ საკმაოდ მოზრდილი სანახშირე ყუთი იდგა თავის სახურავით, სწორედ ეს ყუთი გამოვიყენე, როგორც რეჟისორმა, კარადად. ვამზადებდი ვოდევილის „პრიკაზჩიკი შკაფში”. ამ ყუთში ჩავსვი ჩემი კურკა და ზევიდან ხუფი მაგრად დავახურე. „რეპეტიცია” მეტად გამიგრძელდა. სანამ კურკა ტირილით არ გავხეთქე, არ ამოვუშვი. სარაიიდან გამოსულებს პირველად შეგვხვდა დეიდა პატკუ. ჩვენს დანახვაზე პატკუმ იკივლა, ასტეხა სიცილ-ტკრიაცი, გამოცვივდნენ ჩვენი მშობლები და ნახშირით გათხუპნულ-გამურული ბავშვები რომ დაგვინახეს, ჯერ იმათაც სიცილი აუტყდათ, ხოლო შემდეგ ჩვენი არტისტობისათვის ერთი რიგიანად გაგვწკეპლეს.

აქ დამთავრდა ჩემი აქტიორობისა, რეჟისორობისა და რაც მთავარია, ჩემი თეატრის ორგანიზატორობის პირველი პერიოდი”.

1903 წელს ხაშურელმა სცენისმოყვარეებმა შეძლეს მუდმივი დასის ჩამოყალიბება, რამაც შესაძლებელი გახადა, სისტემატიური ხასიათი მისცემოდა ქალაქში თეატრალურ საქმიანობას. ამ პერიოდში ხაშურის სცენაზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კ. ძნელაძე, ივ. მურვანიშვილი, გ. ვეზირიშვილი, სტ. ნოზაძე და სხვები. ამავე დროს, ხაშურში გაჩნდა ახალი სათეატრო შენობა, რამაც ადგილობრივ სცენისმოყვარეებს და ქართული პროფესიული თეატრის მსახიობებს საშუალება მისცა, ხშირად ემართათ წარმოდგენები.

ხაშურის სცენაზე ძირითადად ქართული დრამატურგიის ნიმუშები იდგმებოდა. რეპერტუარში ჰქონდათ უცხოური პიესებიც. იყო შემთხვევები, როცა წარმოდგენები რუსულ ენაზეც იმართებოდა.

დუდე ძნელაძე ხაშურის თეატრალური ცხოვრების ამ პერიოდს ასე იხსენებს: „შემდეგი პერიოდი (1902-1904 წლები) უფრო კარგად მაგონდება: მახსოვს წარმოდგენების შინაარსი, მოქმედი პირები და მათი შემსრულებლები. იმხანად ხაშურის დრამწრე ძლიერი ძალებისაგან შედგებოდა. აქ იყო სტეფანე ნოზაძე (ფსევდონიმით „ფონ ტეფო”) – მუშა-მწერალი; ვანო მურვანიშვილი – შემდეგში პროფესიონალი მსახიობი; ნ. სიხარულიძე – ხაშურის მუდმივი სცენისმოყვარე და რეპორტიორ-კორესპონდენტი და სხვა. მაგონდება კომედია „ადვოკატი მელაძე”, რომელშიაც მონაწილეობდნენ სტეფანე ნოზაძე და ვანო მურვანიშვილი. ერთი მათგანი თამაშობდა ადვოკატს და მეორე მეცხვარეს (მწყემსს). შემდეგ ვნახე ვ. გუნიას „და-ძმა”, გაიოზს თამაშობდა გ.ვეზირიშვილი, მოხუც ადამიას-ვ. ხოზბეროვი, გიორგი ადამიას ნ. სიხარულიძე. აქვე ითამაშეს ვოდევილი „დატრიალდა ჯარა”, რომელშიაც მსახური გლეხის როლს ასრულებდა დიდად ნიჭიერი სცენისმოყვარე კოლა თევდორაშვილი. მის მიერ განსახიერებული ზედმიწევნით კოლორიტული გლეხი-მსახური დღესაც თვალწინ მიდგას. შემდეგ პერიოდში ხაშურის დრამ-წრის წარმოდგენებისა მახსოვს უკვე რკინიგზის კლუბში, რომელიც ერთხელ დაიწვა და მალე ისევ აღადგინეს. აქ, გარდა ზემოხსენებული სცენისმოყვარეებისა, ხანდახან წარმოდგენებში მონაწილეობდნენ რჩეულიშვილის ქალი და სხვა რეპერტუარში ქონდათ: „დამარცხებულნი”, „ადვოკატი მელაძე”, „არსენა”, „და-ძმა”, „დატრიალდა ჯარა” და სხვა”.

1913 წელს ხაშურში შეიქმნა ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თეატრალური საქმიანობის შემდგომ აღმავლობაში. წრის გამგეობის მხრიდან (თავმჯდომარე კ. ძნელაძე) უკვე სათანადო ყურადღება ექცეოდა გამართული წარმოდგენების მხატვრულ დონეს, სცენისმოყვარეთა დაოსტატების საქმეს, ამ მიზნით გამოჩენილი რეჟისორებისა და მსახიობების მოწვევას. ამავე დროს საზოგადოების ხელმძღვანელები ცდილობდნენ, თეატრალურ ცხოვრებას მოეცვა რაიონის სოფლები, სადაც სისტემატიურად მართავდნენ წარმოდგენებს. ასეთი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთ სოფელს უკვე თავისი თეატრალური დასიც კი გააჩნდა და ნაყოფიერ მუშაობასაც ეწეოდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფ. გომზე, სადაც საზოგადოებამ თავისი ფილიალიც კი დაუფუძნა.

XX საუკუნის 10-იან წლებში, ხაშურის სცენაზე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მოსე კვალიაშვილი, ალექსანდრე კორძაია, ნიკო თევდორაშვილი, ნიკო ფერაძე, ქსენია კამკამიძე, ვასო ხოზბერიძე, გრამიტონ მოწონელიძე, ნიკოლოზ სიხარულიძე და სხვები. ხაშურის სცენაზე ხშირად ნახავდით ცნობილ ქართველ მსახიობებს ნუცა ჩხეიძეს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ნიკო გოცირიძეს, ვალერიან შალიკაშვილს, შალვა დადიანს, ელო ანდრონიკაშვილს, ელენე ციმაკურიძეს და სხვებს.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხაშურის ქართული დრამატული წრის 1914-1915 წლების ანგარიშიდან ზოგიერთი მონაცემის გაცნობა. საანგარიშო წელში წრეს გაუმართავს 44 წარმოდგენა, ჩაუტარებია ლექციები, სეირნობა და სხვა გასართობი ღონისძიებები. 44 წარმოდგენიდან ხაშურში გაუმართავთ 35 წარმოდგენა, რომელსაც დასწრებია 4.382 მაყურებელი, სურამში – 3, დასწრებია 430, ბორჯომში – 2, დასწრებია 218, გომში – 4, დასწრებია 786 მაყურებელი.

დრამატული წრის გამგეობას წარმოდგენებიდან მიუღია 3062 მანეთი. ამ საანგარიშო წელში შემოსავალი ყოფილა 3313 მანეთი, რომელიც მთლიანად გახარჯულია თეატრალურ საქმიანობაზე (დეკორაციები, ინვენტარი, გომისა და საზაფხულო თეატრის მოწყობა და სხვა).

გამგეობას განზრახული ჰქონია გაემართა იაფფასიანი წარმოდგენები და ამით მდაბიო ხალხისათვის საშუალება მიეცა, დასწრებოდა წარმოდგენებს. მაგრამ რადგანაც დიდი ხარჯი მოუთხოვია სათეატრო შენობის მოწყობას, მხოლოდ ორჯერ გაუმართავთ ასეთი წარმოდგენა. სამაგიეროდ გაუმართავთ არაერთი საქველმოქმედო წარმოდგენა. კერძოდ, ორი წარმოდგენა გაიმართა აკაკი წერეთელის ფონდის გასაძლიერებლად, ერთი წარმოდგენა – თბილისის ქართული თეატრის შენობის აღსადგენი ფონდის, ერთიც ვაჟა-ფშაველას ფონდისა და ერთი წარმოდგენაც ხაშურის სამკითხველო წიგნთსაცავის სასარგებლოდ.

საინტერესო მუშაობა გაუწევია გამგეობას სცენისმოყვარეების პროფესიული დაოსტატებისათვის. ამასთან დაკავშირებით ანგარიშში ნათქვამია: „ვინაიდგან მომეტებული ნაწილი ჩვენი სცენისმოყვარეებისა ახალგაზრდა, გაუწვრთნელი იყვნენ და ესაჭიროებოდათ დაოსტატებული ხელმძღვანელნი თამაშის მხატვრული მხარის გასაუმჯობესებლად, გამგეობამ განიზრახა დროგამოშვებით მოეწვია ხოლმე ჩვენ სცენაზედ დახელოვნებული მსახიობები, რომელთა თამაში ჩვენი სცენის მოყვარეებთან ერთის მხრით მათ საგრძნობელ სარგებლობას მოუტანდა, მეორეს მხრით კი საზოგადოების მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა. ამ მიზნით გამგეობამ მიმართა თბილისის ქართულ თეატრს და იქიდამ შემდეგი მსახიობები მოიწვია: ქალბატონები ნ. ჩხეიძე, პ. შოთაძე, ა. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე და ბატონები ვ. აბაშიძე, მ. ქორელი, ა. წუწუნავა, ნ. გოცირიძე და ი. ჩარდალიშვილი, რომელთა მონაწილეობით გამგეობამ გამართა რამდენიმე წარმოდგენა”.

დუდე ძნელაძე, რომელიც უკვე თავადაც გამოდიოდა ხაშურის სცენაზე, საინტერესოდ მოგვითხრობს ამ პერიოდის ხაშურის თეატრალური ცხოვრების შესახებ. „1913-1915 წლებში ვცხოვრობდი ხაშურში მშობლების სახლში. ამ დროს ხაშურში უკვე ძლიერი დრამატული წრე იყო ჩამოყალიბებული თავის გამგეობით. სცენისმოყვარეთა ჯგუფში შედიოდნენ: კოლია თევდორაშვილი, ალექსანდრე კორძაია, ნიკო სიხარულიძე, ვასო ხოზბეროვი, მოსე კვალიაშვილი, სიმონ და გროგოლ დევდარიანები, ალექსანდრე ქუთათელაძე, მანია ქუთათელაძე, მიხეილ რატიანი, ქეთო კალაძე, ნინო ყაჭეიშვილი, მარო რევაზიშვილი, ვარინკა მაღრაძე, დები კამკამიძეები, ანეტა კოკელიძე, დავით სხილაძე, სამსონ პაპუნაშვილი და აქვე იყო მსახიობი თამარ აფხაზიშვილი. გამგეობაში შედიოდნენ: კოწია ძნელაძე (თავმჯდომარე), კირილე მესხი, გიგუცა ძნელაძე (ჩემი ძმა), იოსებ ყაჭეიშვილი და სხვა რეპერტუარი დაახლოვებით ასეთი იყო: „და-ძმა”, „ბატონი და ყმა”, „უმუშევარნი”, „ბაიყუში”, „ჯერ დაიხოცნენ – მერე იქორწინეს”, „მეზობლები”, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ” და სხვა. იმ პერიოდში ხსენებული წრე ერთ ხანს რკინიგზის ძველ კლუბში მუშაობდა, ხოლო შემდეგ /1914 წლის შემოდგომიდან/ ვასო ჯაფარაშვილის შენობაში. რამდენადაც მახსოვს, ვასო ჯაფარაშვილს თავის შენობის პირველი სართული სრულიადაც არ ჰქონდა განზრახული თეატრისათვის, მას აქ უფრო სარგებლიანი წარმოება სურდა მოეწყო, მაგრამ დრამწრის გამგეობის წევრები და სცენისმოყვარეები შემოესივნენ ჯაფარაშვილს, შეუჩნდნენ მას, დაუწყეს რწმუნება, რომ მას საზოგადო მოღვაწის დიდი სახელი შეექმნება, რომ იმის შესახებ გაზეთები ალაპარაკდებიან, ეს ამბავი მოედება მთელ ქვეყანას და სხვა მრავალი ამგვარი. მართლაცდა იმ პერიოდში – ერთ-ერთ გაზეთში მოთავსდა პატარა ქრონიკა, სადაც დაახლოვებით ასე იყო ნათქვამი: დ. ხაშურში ბატ. ვასო ჯაფარაშვილმა დაამთავრა ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომლის პირველი სართული განზრახული აქვს, დაუთმოს ადგილობრივ დრამატულ წრეს წარმოდგენების გასამართავად. ბატ. ჯაფარაშვილის ასეთი მოქმედება მის დიდ ქველმოქმედებას უნდა მიეწეროს; იგი დიდი მადლობის ღირსია... და ასე შემდეგ. გაზეთის ამ მცირე კორესპონდენციამ ვ. ჯაფარაშვილზე დიდად იმოქმედა და იგი იმდენად წააქეზა, რომ თითქმის უფასოდ დაუთმო სახლის პირველი სართული დრამატული წრის გამგეობას. ამის შემდეგ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას” 1915 წლის 29-ე ნომერში მოთავსდა ხაშურის დრამწრის თითქმის მთლიანი შემადგენლობის სურათი, სადაც ვ. ჯაფარაშვილსაც ვხედავთ, როგორც თეატრის შენობის მეპატრონეს...

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

# პატარა ნაბიჯებით - დიდი მიზნებისკენ

ისტორიები, რომლებსაც გიამბობთ, სოფელში მცხოვრებ ქალებს აერთიანებს. სოფელში ცხოვრებამ გოგონებს ასწავლა, როგორ აუღონ ალღო სიახლეებს, როგორ გადადგან გაბედული ნაბიჯები, რომ თავი დაიმკვიდრონ. ყველა ისტორიას თავისი უჩინარი გმირი ჰყავს, რომლებიც შეულამაზებლად გვიამბობენ საკუთარ ამბავს, გვიზიარებენ გამოცდილებას. ქვემოთ სიუჟეტში მოთხრობილი ამბავი კი მეგი ლომიძის ისტორიაა, რომელიც სოფელ ალში ცხოვრობს.

- პატარა ასაკში გავთხოვდი, მხოლოდ სკოლა მაქვს დამთავრებული. 18 წლისას უკვე მყავდა შვილი. სწავლით სხვაგან არ მისწავლია. 2014 წლიდან მეუღლეს ჰქონდა რძის გადამამუშავებელი მინი საწარმო, სადაც მეც ვეხმარებოდი ყველანაირად. საკუთარი ძალებით ვაწარმოებდით რამოდენიმე სახეობის დაწნულ ყველს და სულგუნს. გარკვეული მიზეზების გამო, თითქმის აწყობილი ბიზნესის დახურვა მოგვიწია. შემდეგ წავედით თბილისში საცხოვრებლად, სადაც ორივე ვმუშაობდით. პანდემიის პირობებში სოფლად ჩამოსულებმა გადავწყვიტეთ დავრჩენილიყავით და ოჯახური მეურნეობისთვის მიგვეხედა, ჩვენი ძალებით დავხმარებოდით ოჯახს. გვყავს ძროხები ნამატით, ცხვარი. შინაური ფრინველები. უფროსებს უყვართ, როცა ყველაფერი ჰყავთ სახლში. ჩვენც ვეხმარებით შეძლებისდაგვარად.

მეგი ლომიძე სოფელ წაღვლში დაიბადა. შრომას ბავშვობიდანვე მიეჩვია. უამრავ კარგი მოგონება აკავშირებს სოფელთან, ორი ძმის უმცროს დას უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა. 12 წლის იყო, უბედური შემთხვევის გამო უფროსი ძმა რომ გარდაიცვალა. ამის შემდეგ, მეგი უფროსივით ამოუდგა მშობლებს გვერდით, ეხმარებოდა, ტყეში დაჰყვებოდა, ზაფხულობით მაყვლის კრეფით თანხას აგროვებდა. სულ სხვა გემო ჰქონდა საკუთარი შრომით მოპოვებულ ფულს. სკოლაშიც კარგი მოსწავლე იყო. არ აკლდებოდა ოლიმპიადებს და წარმატებებსაც აღწევდა. მომავალი მეუღლე -ზურა ნოზაძე 14 წლის ასაკში გაიცნო, სკოლა რომ დაამთავრა და ჯარიც მოიარა, მაშინ დაოჯახდნენ. შეეძინათ ქალ-ვაჟი. ასე ერთად მოდიან უკვე 8 წელია.

- დიდი ოჯახი გვაქვს: დედამთილი, დედამთილის დედამთილი, გათხოვილი მული, მაზლი და ჩვენ. საუკეთესო დედამთილი მყავს, ნინო ბელიძე მუსიკის პედაგოგია ალის საჯარო სკოლაში. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, ოჯახის ბურჯი მაინც ისაა. დიდ ოჯახში საქმეც დიდია. ამიტომ, საოჯახო საქმეს ვინაწილებთ და რაღაცას ის აკეთებს - რაღაცას მე. ძროხების წველაც გადანაწილებულია ორი - მას, ორი -მე. თუმცა ცოტა ვზარმაცობ და საღამოს ვწველი მხოლოდ, დილით ადგომა მიჭირს, განსაკუთრებით, როცა შეკვეთა მაქვს და გვიან მიწევს დაძინება. აქაც დედამთილი მიგებს.

ყოველთვის მიყვარდა და მეხერხებოდა ცხობა და გასულ შემოდგომას შევისწავლე ტორტების ცხობა. მადლობა დეიდას, რომელმაც თავისი ცოდნა გამიზიარა და მასწავლა საკუთარი რეცეპტი. დავიწყე ცხობა და შემოსავლის წყაროდ ვაქციე ეს საქმე. ყოველთვის ვუკეთებ შედავათს ადამიანებს. შრომის ფასი კარგად ვიცი ბავშვობიდან, თუმცა, ხშირად არ დავეძებ ჩემს შრომას. მთავარია, სხვა გავაბედნიერო. ყოველთვის იყო ჩემი ოცნება საკუთარი საკონდიტრო მქონოდა, იმედია, სურვილს ავისრულებ. საკონდიტრო არა, მაგრამ ჯერჯერობით „სახლური“ გემრიელი ტორტები მაქვს. ჩემი ტორტები გამორჩეული იმითაა, რომ ყველაფერს, შეძლებისდაგვარად, ნატურალურს ვუკეთებ, არანაირი ფხვნილები და დანამატები ან არომატიზატორები. ყოველ შეკვეთას უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები, ზოგჯერ ისეთი მიზერული თანხა მრჩება,

მაგრამ ჩემთვის მთავარია შემკვეთი დარჩეს კმაყოფილი. ვფიქრობ, არანაირი შრომა არაა სამარცხვინო, სამარცხვინოა როცა შეგიძლია და არ აკეთებ. რატომ უნდა იყიდო ყველაფერი, როცა შეგიძლია საკუთარი გქონდეს. ძალიან მიყვარს ხელსაქმე თავისუფალ დროს ვაკეთებ დაბადების დღის გასაფორმებელ სხვადასხვა დეკორაციებს. ამ მიმართულების გაფართოებასაც ვგეგმავ.

მადლობა ჩემს ოჯახს, რომელიც ყველანაირად მეხმარება, ხელს მიწყობს და უხარია, როცა რაღაცას ვაკეთებ. ყველა ერთად ვცდილობთ საკუთარი ნატურალური პროდუქტი ვაწარმოოთ და ოჯახში ყველაფერი მოვიხმაროთ ნატურალური. მეუღლემ რძის ტექნოლოგია შეისწავლა და ახლა ნატურალური სოფლის კარაქის წარმოება დაიწყო. სამომავლოდ გაფართოებას გეგმავს. ერთიანი ძალისხმევით რაღაცას მივაღწევთ, მჯერა.

ვფიქრობთ, მეგი აისრულებს ოცნებას და გახსნის საკუთარ საკონდიტროს, ვუსურვოთ მას წარმატებები მიზნის მისაღწევად.

**ირინა გოგიტაური**

- პროგრამა „დანერგე მომავალი“ -

## ხაშურის მუნიციპალიტეტში ჟოლოს ბაღები 30 ჰექტარზე გაშენდა

პროგრამა „დანერგე მომავალი“ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებული პროექტია, რომელსაც 2015 წლიდან სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს. პროგრამა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდება. პროექტის მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2019 წლიდან, ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად, სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი კენკროვანი ქვეკომპონენტი დაემატა, რომლის მიხედვითაც, 100



%-ით ფინანსდებოდა ნერგები, სარწყავი სისტემა და ბაღის მოსაწყობად საჭირო მასალები. ფიზიკურ პირებს კი პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ იმ შემთხვევაში თუ ფლობდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს 0,15 ჰა-დან - 0,5-ჰ-მდე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობით დაინტერესებულთათვის გასაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტი და მომართვიანობა ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში საკმაოდ მაღალი იყო. მიმდინარე წელს, დაახლოებით, 60-მდე ბენეფიციარი ჩაერთო აღნიშნულ პროექტში. ჟოლოს გაშენებულმა ბაღებმა კი, დაახლოებით, 22 ჰექტრამდე მოიცვა. საერთო ჯამში კი, 2019 წლიდან, ამ კულტურით გაშენებულმა ბაღებმა დაახლოებით 30 ჰექტრამდე შეადგინა.

კენკროვანი ქვეკომპონენტის გაგრძელება 2021 წლიდან აღარ იგეგმება, თუმცა „დანერგე მომავალი“-ს ბაღების კომპონენტი კვლავ აქტიურია და განაცხადების მიღებაც უახლოეს მომავალში განახლდება. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შეძენის მიზნით, ასევე თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში არაუმეტეს 80%, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაშიც, ამავდროულად დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა. ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა მისი ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე.

ჯემალ გელაშვილი,
ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი

**ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები. კოდისწყაროს ტბა.** ბ. წიქრიძის ფოტო.

არქეოლოგია

## შემთხვევითი აღმოჩენა ხცისში

სოფელ ხცისის ცენტრში, როლანდ ზალკალიანის საკარმიდამო ნაკვეთში, საკანალიზაციო ჭისთვის ორმოს ამოღების დროს, მუშები გადააწყდნენ მიცვალებულის ჩონჩხს და კერამიკული ჭურჭლის ნატეხებს. აღმოჩენის შესახებ დაუყონებლივ ვაცნობეთ ხაშურის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური კვლევების კურატორს, ბატონ ბიძინა მურვანიძეს.

შემოსული სიგნალის საფუძველზე,ჩატარდა სამარხის გადარჩენითი სამუშაოები და აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ინვენტარი (ვერცხლის თასი, სამი ერთეული ვერცხლის მონეტა, 2 ერთეული ოქროს საყურე, 35 მარცვალი პასტის მძივი, ერთი ერთეული გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი და ერთი ერთეული თიხის ხელადა).

სამარხეული ინვენტარი გადმოტანილია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სავარაუდოდ, სამარხი ანტიკური ხანისაა (ძვ.წთ. V-III საუკუნეები).

ხცისის სამარხის ინვენტარი ელოდება მკვლევარი სპეციალისტების მიერ რესტავრაცია-კონსერვაციას, შესწავლას და პუბლიკაციას. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, ამ საქმეში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამისი მიმართულების თანამშრომლებიც (რესტავრატორი, კონსერვატორი, ანთროპოლოგი, არქეოლოგი, ნუმიზმატი) არიან ჩართული.

სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო მოხრილ მდგომარეობაში (ე.წ. ემბრიონის პოზა),მარცხენა გვერდზე. ჩონჩხი დიდი ზომისაა.

სამარხთან დაკავშირებული კვლევების შესახებ, ინფორმაციას მოგვიანებით გაგაცნობთ..

**მზია ლობჟანიძე**
**ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი**

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში სამკითხველო გაიხსნა

სამკითხველოს გახსნას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაკა დიდებულიძე ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

გიორგი კეკელიძემ, კოლეგებთან ერთად პროექტ „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში „ახლად გახსნილ სამკითხველოს წიგნები ჩამოუტანა. სამკითხველომ წიგნები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისგანაც მიიღო.

სოფელში, სამკითხველოს გახსნასთან ერთად, ადგილობრივი ნაწარმის დეგუსტაცია, ხალხური რეწვისა და ნახატების გამოფენაც მოეწყო.

სამკითხველოს გახსნის ინიციატივა ჩორჩანელებმა რეგიონის ხელმძღვანელობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე წამოაყენეს და ნუგზარ სამხარაძისგან ამ საქმეში თანადგომის პირობაც მიიღეს.

ახლად გახსნილმა სამკითხველომ, ადგილობრივებთან შეთანხმებით,სოფელ ჩორჩანის ერთ-ერთი მცხოვრების სახლში დაიდო ბინა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.